

სელოვნება და პროგნოზი საზოგადოებრივში

მაგონქდება ქართული მწერლობის ისტორიიდან, თო-თო-ოროლა მაგალითი, რომელიც შეტად დამახასიათებელია ჩვენი სახოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნებისათვის.

1903 წ. „კვალში“ „ყვირილელი“ თავისებურ მარქ-სისტულ ანალიზს უკეთებდა მაშინდელ ყბადალებულ „მამულიშვილობას“, სახავდა მას გადაგვარებული კულ-სის, ფეოდალთა წოდების პოლიტიკურ გამოხატულებად. რომელიც „რეაქციით იყო გაეღენთილი და რეაქციას ასულგმულებდა“. ხოლო თავადაზნაურული რეაქცია, — ყვირილელის შორის მცვერეტელი აზრით, — განსპეცია-ბული და გაწმენდილი პოეზიით აკაკის საუკეთესო ლექ-სებში არის გამოსახული. ორიოდე ლექსი თურმე აკაკი-საც დაუწერია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს კი-ლო სრულებით არ არის დამახასიათებელი მისი პოეზიი-სახვის. რომლის ძირითადი ძარღვი რეაქციონური და თავადაზნაურულია.

ამ ნაირათ აკაკი გამოდის ფეოდალთა წოდების სუ-ლისკეთების პოეტურ გამომხატველად, რეაქციის უმ-შვენიერეს მომღერლად. მისი პოეზია, აწყობილი ყოფილა წოდებრივ-კულასიურ ჰანგზე, აშერაა, აკაკის დაფასებაში მოტყუებულა მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა. მომხიბლავი საგნე-ბითდატყვევებულ ერს საუკუნოთ შეუყვარებია ფეოდა-ლიზმის გაღმერთებელი, უკანასკნელი მოციქული!

ასეთი შეუსაბამობა, რომელიც მაშინ ბევრი იწერე-ბოდა, საყოველთაოთ იყო გაკრულებული იმ ფრონ-დელი მოძრაობის ხელმძღვანელ წრეებში. სამწუხაროთ,

შემინ ასეთი შეხედულება ნიშანი იყო სოციალისტურ-დემოკრატიული და რევოლუციონური სიმწიფის და უაღრესობის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ყოვლად შეუსაბამო შეხედულებას დღესაც იცავენ ზოგიერთები, — და იცავენ სწორეთ კლასთა ბრძოლის პრინციპით და სოციალიზმის თვალსაზრისით: აკაკის პოეზია დამახსულია, ის წარსულის ექსპლოტატორულ კლასებს ემსახურებოდა და მუშა ხალხს არ გამოადგებოდათ. ამ შემთხვევაში ისინი ყვირილელზე შორს ვერ წასულან. მათ შორის არსებითი განსხვავება არაა. ორივენი უკიდურესათ, ცალმხრივათ უდგებიან აკაკის პოეზიას, თანმიმდევნურათ და ლოლი-ცურათ ანვითარებენ თავის ვიწროთ გაგებულ კლასიურ შეხედულებას და ამ თვალითვე შინჯავენ დიდი ხელოვნის ღვაწლა და შემოქმედებას.

ახლა ნახეთ, რას სწერს ნ. ეორდანია აკაკის შესახებ 1915 წ. „ახალ აზრში“¹⁾.

აკაკი იყო ბუნებრივი დემოკრატი და ოპოზიციონერი. ეს მას წიგნიდან არ უსწავლია, შეკოლიდან არ მიუღია. არა. ეს თვით მის ბუნებაში იყო ბავშობიდან სტიქიურად ჩანარგილი, ძუძუსთან ერთად მიღებული, მის სიარსა და პირადობაში ჩაქსოვილი. მისი კერძო ცხოვრება, მისი საზოგადოებასთან დამოკიდებულება, ისე როგორც მისი პოეზია, გაეღლენთილი იყო დემოკრატიული და ოპოზიციონური სულითო და სხ. ნ. ეორდანია აკაკის რესთაველს ადარებს: ორივემ ერთნაირად მიაგნო ერის სულიერ სალაროს, მის წმინდათა წმინდას და ეს მუსიკალურ წყობილსიტუაციით ააელერაო. აკაკი „ჩვენია“, დემოკრატიის არისო, — აი ავტორის დასკვნა. . .

როგორც ხედავთ, ეს სულ სხვანაირი განხილვაა აკაკის პოეზიის და სრულიათ არა პგაცს ყვირილელის მიერ შეთხზულ ამბავს — აკაკის პოეზია ფეოდალური ჩეაქციის სულიერი განწყობილების გამომსახველიათ.

აქვე არ შეგვიძლია გაკვრით არ მოვიხსენით ჩ. კალაძის შეხედულება აკაკისა და მისი პოეზიის შესახებ.

¹⁾ № 138, წერილი „ჩვენი აკაკი“.

ასებითად რ. კალაძის შეხედულება სრული და რადიკალური უარყოფა ყვირილების და სხვების პოზიციის აკანს პოზიციის დაფასების საკითხში. ის ნ. უორდანიაზედაც შეარს მიღის და აკაკის აწერს პირდაპირ ჰენიოსურ შორს-მოუკიდებლობაო.

მან „საღი ოცნების თვალით ნათლად დაინახა დღევანდვილი საქართველოს ნამდვილი პროლეტარული დამოუკიდებლობაო.

რ. კალაძის თქმით აკაკის ზედმიწევნით შეუთვისებია ხალხური სიტუაციები, ხალხური პოეზია, ხალხის იდეოლოგია და სულისკვეთება და მერე ყოველივე ეს თავის პოეტურ შემოქმედების ბრძმედში გარდაქმნილ — გადამუშავებული უკანვე ხალხს დაუბრუნა, ამიტომ ხალხშია ის გააგო და შეიგრძნო და მისი პოეზია თავის პოეზიად მიიჩნია. მან დასტოვა ძეელი ზოაპარი, მითი და შეითვისა აკაკის სიმღერა ლექსი და შაირი“.²⁾ — ამ სიტუაციების შემდეგ თავისთავად გასაკებია „მნათობის“ რედაქციის შენიშვნა: აეტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებით.

ა. ასეთი სხვაობა, ასეთი წინააღმდეგობა სულევს იმათ მსჯელობაში, კინც საზოგადოთ, ავათ თუ კარგათ, ერთნაირ მეთოდს იმარჯვებდა და ერთგვარი ზოგადი ისტორიულ — სოციოლოგიური პრინციპებიდან გამოღიოდა. მკითხველი თვითონ გაარკვევს, ვინ რამდენათ მდრობილია ხსნებულ ავტორთა შორის აკაკის პოეტური ლექსის დაფასების საქმეში. ჩვენ კი, ჩვენდა თავათ ვიტუვით, რომ აკაკი მართლაც ჩასწვდა ქართველი ხალხის გულის სილრმეს და ჯადოსნური ტებილი სიტუაციბით გამოსახა მისი სულიერი თვისებები,. მისი წმინდათა წმინდა სწორეთ ამიტომ იწამა და შარავანდელით შეძოსა იგი ძშობელმა ერთა.

აკაკის პოეზია მართლაც ხალხის პოეზიაა, მის იღუმალ ზრახვათა მაგიური ამეტყველებაა. აკაკი განწირული

²⁾ „მნათობი“ 1925 წ. № 2.

წოდების ინტერესებს კი არ დასტირის, — ამის თქმა სა-
კალალო დაბრმავებაა, — არაშედ ცრემლში პბანს ხალ-
სის დიდის ნაციონალურ სევდას, მთელი ერის მწუხასრებას
და საოცარი გულთამსილაობით ემსახურება მას. ამიტომ
დაიღვა მან სიცოცხლეშივე ხალხის გულში სამარადისო
ძეგლი.

რაღა თქმა უნდა, აკაკისაც ამჩნევია წოდებრივობის
და პირადი თავის. წარმომშობი საზოგადოების გავლი;
ეინ გაქცევია ოჯახის, წრის, წოდების თუ კლასის გაელე-
ნას! — მაგრამ აკაკის პოეზიისათვის, — წინააღმდეგ ყვი-
რილელის აზრისა, — სწორეთ ეს არაა დამახასიათებელი.
აკაკის სიძლიერეც იმაში სჩანს, რომ მის პოეზიაში საზო-
გადოთ დათოგუნვილია ყოველგვარი კუთვნილება და
კალკეობა. როგორც გეოგრაფიულათ, ისე სოციალურათ,
გადალაზულია ყოველივე წოდებრივი და სეპარატიული
წლები. აკაკის პოეზიაში გარდაუვალი და უკვდავი, —
შედარებით რასაკვირველია, — სწორეთ ისაა, რაც აქრ-
იანებს და არა ის, რაც თიშავს.

აკაკი ავიღეთ, როგორც არსობრივი და მჭერმეტყვე-
ლი მაგალითი საკითხის ნათლათ წარმოდგენისათვის. იგი-
ც შეიძლება ითქვას ყოველ დიდ შემომქმედზე ხელოვ-
ნების რომელ დარგს და რომელ ერსაც უნდა ეკუთვნო-
დეს იგი. გარჩევა შეიძლება მხოლოდ ნიჭის მეტნაკლე-
ბობის და შემომქმედების სისავსისა და ძლიერების მი-
ხედვით.

ა. ლუნაჩარსკი თავის „ლიტერატურულ სილუეტებ-
ში“ „აზნაურ“ პუშკინს ანასიათებს ისეთ დიდზუნებოვან
ადამიანად, რომელშიაც „ნამდვილათ იღვიძებდა. არა
კლასი (თუმცა კლასმა დაასვა მას ერთგვარი ბეჭედი)
არაშედ ხალხი, ერი, ენა, ისტორიული ბეჭი“. აეტორი
განსაკუთრებით აღნიშნავს პუშკინის წინათ გრძნობელ,
წინასწარმეტყველურ, მომავალ საუკუნეთა გამომხმაურ-
ელ გენიოსობას. პუშკინის წარსული — ეს ჩვენი რუსული
კოცხალი ბარბაროსობაა, ეს ანლათ გამოღვიძებული ხალ-
ხის სიჭაბუკეა; მისი მომავალი — რუსი ხალხის მთელი
ძომავალია და სხ.

ეს საინტერესო დახასიათებაა. მაგრამ იგი ბევრ ჩა-
მეში ძალიან წააგავს ღოსტოვესკის მიერ იმავე პუშკინის
დახასიათებას (იხ. ღოსტოვესკის სიტყვა პუშკინის შესა-
ხებ). მხოლოთ ეს დახასიათება, ცხადია ხელოვნების კლა-
სიურობის ვიწრო კალაპოტში ვერ მოთავსდება.

დღსანიშნავია, რომ რუსული ლიტერატურის „მე-
მარცხენე“ ფრონტის მრავალი წარმომადგენელი უკან
იხევს პუშკინის (და საზოგადოთ კლასიკოსების) დაფასე-
ბის საკითხში. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული
ლოზუნგიც კი არის წამოსროლილი: პუშკინს დაუბრუნ-
დეთო. ამ მხრით მეტათ დამახასიათებელია რუსი პო-
ლეტარეული პოეტის პანფილოვის აღსარება: Ach Alexandre
Sergueevich Puschkin. Я думал — мы тебя взрослей, но
нет — все так же лучший из всех учителей.

ვის შეუძლია თქვას, რომ გიორე თავის დიალოგი
საზოგადოების ერთ კლასს უკუთვნის, — რომ მისი. პოე-
ტური ბრწყინვალება მხოლოთ არისტროკრატიის თუ
ბურჟუაზიის მიღამოს აშუქებს, — რომ მისი უკვდავი
პოეზია „კლასიური ფსიქოფიზოლოგიით“. იყოს ნაკარ-
ნახევი! თითქოს პირდაპირ, აშკარათ ამის თქმას ვერავინ
ბედავს, — ეს მეტის მეტი სითავეხდე იქნებოდა მაგრამ
ხელოვნების საკითხებში თუ კლასიურ ჩეფლექსოლოგიას
შივილებთ სათრიენტაციოთ, რატომდა უნდა დარჩენ გამო-
ნაკლისად გიორე და სხვა მისდავგარი გენიოსები.

მარქსი ვიორეს. შესანიშნავი, — მკაცრი, — დაა-
სიათების დროს (პოლემიკა კ. გრიიუნის წინააღმდეგ)
კრინტსაც არა სძრავს იმრის შესახებ, რომ გიორე, რო-
გორც პოეტი (და მეცნიერი) კლასიური ფსიხიკით იყო
გამსჭვალული და თავისი შემოქმედებით რეაქციას და გა-
ბატონებულ კლასებს ემსახურებოდა. მისი სიტყვებიდან
მხოლოთ ის მტკიცდებოდა, რომ გენიოსებიც ვერ თავი-
სუფლდებიან თავის კერძო, თუ საზოგადოებრივ ცხოვრე-
ბაში გარშემორტყმული პირობების გავლენისაგან და პი-
რადათ გიორეს. ცხოვრაბაზე ჰქონდა გავლენა მისი დრო-
ის გერმანიის ფილისტერულ სიცუხვირეს და საზოგა-
დოებრივ უილაჯობას. მაგრამ ყოველივე ეს, ყოველივე

შეკრისანური, ყოველივე ფილისტერული გიორქეს ცხოვ-
რებაში გამჭრალია. გიორქეს პორჩიაში, რომელიც უკვდა-
კუბის წყაროსავით ეპკურება ყოველი კულტურული სა-
ხოგადოების წევრს, რა კლასის და მიმართულებისაც უნ-
და იყოს იგი, ვიღას ახსოეს გიორქეს პორტური დიდებულე-
ბასთან პატარა ვაიმარის სასახლის პატარა ისტორია!

ფ. შერინგი, — რომელიც არავის არ ჩამოუვარდებო-
და მარჯვისტულ ორთოდოქსიაში, — ისე მჭერმფრცველუ-
რათ სწერს გიორქეს შესახებ:

„შესაძლებელია სხვა ხალხებს ყავდათ და სხვა დროე-
ბაში ცხოვრიობდენ დიდი გენიოსი ხელოვანნი. შესაძლებე-
ლია მომავალში, — რომლის განკვრეტა არ ძალუბს არც
ერთი მომაკვდავის თვალს, — დაიბადონ დიდებული ხე-
ლოვანი გენიოსები... ყველა ეს „ოუ“ და „მაგრამ“ დავით
შტრაუსმა მოსწრებულათ უკუაგდო შემდეგი სიტყვებით:
შეიძლება სირუისი მწეზე მეტია, მაგრამ ის ჩვენს ყურ-
ძენს ეერ ამწიფებსო. გერმანული ხელოვნება არასოდეს
და არავისში არ განსახიერებულა ისე ყოველ მხრივ, ისე
ნათლათ და ისე ლრმათ, როგორც გიორქეში. ჩვენ არ შეგ-
უიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი დრო, როდესაც ეს მზე
დაკარგავს თავის ბრწყინვალებასა და სიმხურვალეს. მაგ-
რამ ჩვენ უხდავთ, რომ თანდათან ახლოვდება ის დღე,
რაც კა გაქრება ლრუბლები, რომლიდანაც მხოლოდ მისი
სუსტი სხივები გამოკრთიან. ის დღე, როდესაც გერმანიის
ხალხი ვანთავისულდება ეკონომიკურათ და პოლიტიკუ-
რათ, იქნება დღე გიორქეს გამარჯვებისა, — იმიტომ რომ
ემ დღეს ხელოვნება გადაიჭირება მთელი ხალხის კუთ-
ვნილებად“.

ხელოვნების სფერო განსაკუთრებით მოჩრჩდლობს
ისტორიული მონაცვალეობის ანუ შემკვიდროების კანონს-
ჲე ძველი და ახალი განუწყვეტილი ორგანიული კავში-
რით არის ერთმანეთზე გადაშებული. ტრადიცია ამ ნიადაგ-
ზე ისეთ ძალას წარმოადგენს, რომლის უგულებელყოფა
და გადალახვა ყოვლათ შეუძლებელია. ყოველი ხელოვა-
ნა, — რომელი წილიდანაც უნდა იყოს გამოსული, — ძა-
ლა-უნებურათ იკრებს, ითვისებს მთელი საზოგადოე-

ბის კულტურულ მონაგარს, ეკნომა და ემყარება შემცვიდურებით გაღმოცემულ შემოქმედების ფორმებს და ამ ნაირად ქნის რიმე ახალსა და ლიტერატურსა, რამდენათაც ამრითების შესწევს ინდივიდუალური ძალობრე და შესაძლებლობა. ამიტომ მიუღებელია ხელოვნების თეალურულენელი სამეცნითოების სამოქალაქო ობის თეორია და მეთოდები, რომელსაც ტყვილა-უბრალოდ ჩაფრენის რადიკალური ფრაზის მოყვარული ლიტერატორები.

ამიტომ შეუძლებელია, რომ საზოგადოებაში, — რომ მელიც, მიუხედავათ სოციალური ანტაგონიზმისა, მაინც ორგანიული კრიტიკობა და მთლიანობაა, — ამა თუ იმ კლასმა თავის საკუთარი, სავსებით თეორიული, სრულიათ დამოუკიდებელი ხელოვნება წარმოშოს, — რომ საკუთრივ პროლეტარიატმა თავისთვალი, დამოუკიდებელი, სრულიათ ახალი ხელოვნება შექმნას სხვადასხვა კარდახშული საორანჟერეო საშხატვრო წრეების საშვალებით. შემოქმედების ისტორიული მონაცვალეობა ისეთი ურყეველა სიმტკიცეა, რომელსაც ვერც-ერთი საზოგადოებრივი კლასი ვერ გადაუყოს. ყოველი ახალი კლასი განსაზღვრულ ისტორიულ და ეროვნულ საზოგადოებრივ პირობებში მოქმედებს. ყოველი ამომავალი კლასი წინამდებარების შემცვიდრების შიგრქმელია.